ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი #1

ქ. ონი

21 ივნისი 2022 წ.

21. 06. 2022 წელს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, შუქურა ჯაფარიძე, გიორგი მარკოიშვილი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, თორნიკე მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე, ლევან ორდინიძე, ვლადიმერ ბერელიძე, ანა ბაქრაძე, ნონა მაისურაძე, თამილა არჩვაძე, ალექსანდრე კერვალიშვილი, ნინო ჯმუხაძე, თამილა ჩიკვილაძე, თამარ ჩიხრაძე, ლევან შერაზადიშვილი, მანანა ჩაგელიშვილი, ლამარა გამყრელიძე, მაგდანა მაისურაძე, გივი ბენდიანიშვილი, ნონა ბაკურაძე, თამარ ჩიხრაძე, მამუკა ყავლაშვილი, თამარ ხომასურიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო გეგმა. ისაუბრა აღნიშნული გეგმის მნიშვნელობასა და როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამ კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პრობლემების აღმოფხვრის მნიშვნელობაზე, საჯარო სამსახურებსა და აიპ-ებში დასაქმებულთა გენდერული თანასწორობის დაცვის შესახებ, ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერულად სწორად დაგეგმვისა და განკარგვის თაობაზე და აღნიშნა, რომ გენდერული საბჭო ვალდებულია მოამზადოს გრძელვადიანი გეგმა, რომ საბჭო თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში და თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია განახორციელოს და გადაჭრას სხვადასხვა კონკრეტული პრობლემური თემები გენდერული თანასწორობის მიმართულებით. აზრი გამოთქვა შ. ჯაფარიძემ და აღნიშნა, რომ სასიამოვნო და მისასალმებელია, რომ ქვეყანა ამ კუთხით ვითარდება და გენდერული თანასწორობის საკითხი აქტუალურია. მისი თქმით, გუბერნიისა და მხარის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების ურთიერთთანამშრომლობით, თითეული წევრის აქტიურობითა და მონდომებით და მოქალაქეთა ჩართულობით აუცილებლად დადგება ის სასურველი შედეგი, რომელიც უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით.

ბაჩანა მარკოიშვილი

ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე